

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერის 2022 წლის \_\_ თებერვლის  
№ \_\_\_\_\_ ბრძანებით

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული  
ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“,  
ღონისძიება „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული  
სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, კონკურსის პირობების შესახებ**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიება „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენსაციებს, მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ქვეპროგრამის ფარგლებში გამარჯვებულ სტუდენტთა (შემდგომში - სტიპენდიანტი) შერჩევა ხდება კონკურსის მეშვეობით.

3. კონკურსს ატარებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში - სამსახური).

4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში - უმაღლესი სასწავლებელი) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე (მაგისტრატურა) საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს - საქართველოს მოქალაქეს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიმდინარე - 2021 - 2022 სასწავლო წლის საკონკურსო - საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება:

- პრიორიტეტულ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - 81 ქულა და მეტი;
- სხვა დანარჩენ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - 91 ქულა და მეტი.

5. სტუდენტის აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებლის დადგენა ხდება, უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის წესით, დამრგვალების გარეშე.

**მუხლი 2. განმარტებები**

1. **ლუკა ასათიანი** (1836 – 1902წწ.) - ქალაქ ბათუმის პირველი (1894 წ.) და მეორე (1898წ.) არჩეული ხელმძღვანელი - ქალაქის თავი. პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. მის სახელს უკავშირდება - ბათუმის საბჭოს აგება, ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა, სამკურნალო და საგანმანათლებლო დაწესებულებების (ყველა ეროვნებისათვის, მათ ენაზე დაწყებითი კლასების) გახსნა, ქალაქის განაშენიანების, განსაკუთრებით მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობის ამოშრობა, სანიაღვრე კანალიზაციის არხების მოწყობა და სხვა უამრავი ინიციატივა.

2. **სტუდენტი** – პირი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

3. **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური.

4. **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური.

5. **საკონკურსო სემესტრი** - მიმდინარე სემესტრის წინა - განვლილი/ბოლო საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრი, რომლის მიმართებაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გამოცხადებულია კონკურსი.

6. **აკადემიური მოსწრების დოკუმენტი** - უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ. სასწავლო წლის საკონკურსო სემესტრის მიხედვით, განვლილ საგნებში მიღებული შეფასების და საბოლოო ქულის - საშუალო მაჩვენებლის მითითებით.

7. **GPA (Grade Point Average / საშუალო შეწონილი ქულა)** - სტუდენტის განვლილ საგნებში მიღებული შეფასების და საბოლოო ქულის/მოსწრების ამსახველი ინფორმაცია.

### **მუხლი 3. კონკურსის მიზანი**

1. კონკურსის მიზანია, უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის სტიმულირება, წახალისება, მოტივაციის ამაღლება და შემდგომი აკადემიური განვითარების მხარდაჭერა/ხელშეწყობა.

2. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრის 50 ყველაზე წარმატებული სტუდენტის გამოვლენა, სტიპენდიის დაწესება - გაცემა.

### **მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა**

საუკეთესო შედეგის მქონე 50 სტუდენტი, მიიღებს ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიას (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით):

1. საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით - 1 000 ლარი;
2. საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით - 1 000 ლარი.

### **მუხლი 5. დოკუმენტაცია**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია), ყოველ საკონკურსო სემესტრთან (საშემოდგომო ან საგაზაფხულო) მიმართებაში, იწყებს განცხადებების მიღებას კონკურსში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის (შემდგომში - აპლიკანტი).

2. აპლიკანტმა მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25) უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- 2.1 **განცხადება** - კონკურსში მონაწილეობის თაობაზე;
- 2.2 **საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი**;
- 2.3 **ფოტოსურათი** - ფერადი (2 ცალი / ზომა - 3 × 4);
- 2.4 **ცნობა** - საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შესახებ (აპლიკანტი უნდა იყოს რეგისტრირებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მომენტისათვის);
- 2.5 **ცნობა** - უმაღლესი სასწავლებლიდან, სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, საგანმანათლებლო პროგრამის, ფაკულტეტის, კურსის და სპეციალობა / კვალიფიკაციის მითითებით;
- 2.6 **აკადემიური მოსწრების დოკუმენტი / GPA** - უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ, სასწავლო წლის საკონკურსო სემესტრის განვლილ საგნებში მიღებული შეფასების და საბოლოო ქულის - საშუალო მაჩვენებლის მითითებით;

## 2.7 ცნობა:

2.7.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თაობაზე, ჩაბარებული საგნების და მიღებული შეფასების, ასევე, სკალირებული ქულის და საკონკურსო ქულის მითითებით - თუ განმცხადებელი ბაკალავრია;

2.7.2 საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების თაობაზე - თუ განმცხადებელი მაგისტრანტია;

## 2.8 საბანკო რეკვიზიტი;

3. სასურველია, ზემოდასახელებულ დოკუმენტაციასთან ერთად, აპლიკანტმა, ასევე წარმოადგინოს ვიდეო რგოლი (თავის წარდგენა. ხანგრძლივობა - ერთ წუთამდე. მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მონაცემები და მიღწეული წარმატებები (საუნივერსიტეტო, სამეცნიერო, სპორტული, კულტურული და ა.შ.). ასევე, ჰობი, მიზნები ან სხვა განსაკუთრებული მოვლენები), რომლის გამოყენების/გამოქვეყნების უფლებას, ანიჭებს მერია.

4. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

## მუხლი 6. განცხადების მიღების ვადები

განცხადებები კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, მიიღება 2021 - 2022 სასწავლო წლის:

ა) საშემოდგომო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით - 2022 წლის 21 თებერვალი - 25 მარტის ჩათვლით;

ბ) საგაზაფხულო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით - 2022 წლის 19 სექტემბრიდან - 21 ოქტომბრის ჩათვლით.

## მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

1.1 დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;

1.2 დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.

2. რეგისტრირებული დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

3. განყოფილება შეისწავლის დოკუმენტაციას და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი).

4. რეესტრში (დანართი 3) ცალ-ცალკე აისახება იმ კონკურსანტთა მონაცემები, რომლებიც სწავლობენ პრიორიტეტულ მიმართულებების სწავლის სფეროებზე და ცალკე იმ კონკურსანტთა მონაცემები, რომლებიც სწავლობენ სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო მიმართულებებზე.

5. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, განყოფილება აცნობებს კონკურსანტს აღნიშნულის შესახებ, განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად.

6. თუ კონკურსანტი, არ გამოასწორებს ხარვეზს - განცხადება არ განიხილება.

7. განყოფილება, შემოსული განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, გამოავლენს გამარჯვებულ - 50 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს/სტიპენდიანტს.

## მუხლი 8. პრიორიტეტული მიმართულებები

1. ქვეპროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, პირველ რიგში განიხილება, იმ კონკურსანტთა განცხადებები, რომლებიც სწავლობენ შემდეგ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო სწავლის სფეროებზე:

- 1.1. **01 / განათლება (0111 განათლების მეცნიერებები - 0111.1 განათლების მეცნიერებები; 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება - 0112.1.1 სკოლამდელი განათლება; 0112.3.1 სკოლამდელი აღზრდა; 0113 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციის გარეშე - 0113.1.1 სპეციალური განათლება (მასწავლებლის განათლება); 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით - 0114.1.1 საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება);**
- 1.2. **02 / ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები (0222 ისტორია და არქეოლოგია - 0222.1.1 ისტორია; არქეოლოგია; 0223 ფილოსოფია და ეთიკა - 0223.1.1 ფილოსოფია; 0231 ენის დაუფლება - 0231.1.1 აფხაზური ფილოლოგია (აფხაზური როგორც მეორე ენა); 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232.1.1 ქართული ფილოლოგია; 0232.1.2 აფხაზური ფილოლოგია; 0232.2.4 ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია; 0288 ინტერდისციპლინური - 0288.1.3 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები);**
- 1.3. **03 / სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (0311 ეკონომიკა - 0311.1.1 ეკონომიკა; 0313 ფსიქოლოგია - 0313.1.1 ფსიქოლოგია; 0313.2.7 ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია; 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები - 0314.1.4 კულტურის კვლევები; 0322 საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა - 0322.3.1 საბიბლიოთეკო საქმე);**
- 1.4. **04 / ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი (0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413.1.3 საჯარო მმართველობა; 0413.2.5 სპორტის მენეჯმენტი; 0413.2.6 განათლების მენეჯმენტი; 0413.2.9 ხელოვნების მენეჯმენტი; 0413.3.1 ღონისძიების ორგანიზება);**
- 1.5. **05 / საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა (0511 ბიოლოგია - 0511.1.1 ბიოლოგია / სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 0511.2.1 ბიომრავალფეროვნება; 0511.2.6 სურსათის მეცნიერება; 0512 ბიოქიმია - 0512.1.2 გამოყენებითი ბიომეცნიერებები ან/და ბიოტექნოლოგია; 0519 ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული - 0521.1.1 გარემოსმცოდნეობა; 0521.1.2 ეკოლოგია; 0531 ქიმია - 0531.1.1 ქიმია; 0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები - 0532.1.2 გეოგრაფია (ფიზიკური); 0532.1.3 გეოლოგია; 0533 ფიზიკა - 0533.1.1 ფიზიკა; 0541 მათემატიკა - 0541.1.1 მათემატიკა; 0541.2.1 გამოყენებითი მათემატიკა);**
- 1.6. **06 / ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - 0612.1.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები);**
- 1.7. **07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები - 0711.2.1 ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; 0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია - 0712.1.1 გარემოს ინჟინერია; 0712.3.1 შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები; 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია - 0714.1.1 ელექტრონული ინჟინერია; 0714.1.2 კომპიუტერული ინჟინერია; 0715 მექანიკა და ლითონის საქმე - 0715.1.1 მექანიკის ინჟინერია ან/და ტექნოლოგია; 0716.1.1 სატრანსპორტო საშუალებების ინჟინერია/ტრანსპორტის ინჟინერია - 0716.1.5 საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინერია; 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული - 0719.1.1 საინჟინრო ფიზიკა; 0719.1.2 საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმეტიკა; 0719.1.6 აგროინჟინერია; 0719.1.7 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია; 0721 სურსათის გადამუშავება - 0721.1.1 სასურსათო ტექნოლოგია; 0721.2.2 სურსათის უვნებლობა; 0724 სამთო საქმე და მოპოვება - 0724.1.1 სამთო და გეოინჟინერია; 0724.2.1 საინჟინრო გეოლოგია; 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება - 0731.1.1 არქიტექტურა; 0731.1.2 ურბანული დაგეგმარება /**

ქალაქდაგეგმარება; 0731.2.3 ლანდშაფტური არქიტექტურა; 0731.3.1 აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება; **0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია** - 0732.1.1 მშენებლობის ინჟინერია; 0732.1.2 სამოქალაქო ინჟინერია; 0732.2.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების ინჟინერია; 0732.2.2 წყლის ინჟინერია; 0732.3.1 წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია; 0732.3.2 წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია; **0788 ინტერდისციპლინური** - 0788.1.1 მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი;

- 1.8. **08 / სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია (0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა** - 0811.1.1 აგრონომია; 0811.2.1 აგრობიოტექნოლოგია; 0811.2.3 მეცხოველეობა; 0811.2.4 ორგანული სოფლის მეურნეობა; 0811.2.5 აგრობიზნესის მენეჯმენტი; 0811.2.6 აგროეკოლოგია; 0811.2.7 სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია; 0811.2.8 აგროტექნოლოგია; 0811.3.5 მევენახეობა; 0811.3.6 მებოსტნეობა; 0811.3.7 ცხენის მოვლა; **0812 მეზღვეობა** - 0812.1.1 საბალო-საპარკო მეურნეობა; 0812.3.1 მეზღვეობა; **0821 მეტყევეობა** - 0821.1.1 სატყეო საქმე; 0821.2.2 სატყეო მეცნიერება; 0821.3.1 სატყეო საქმე; **0841 ვეტერინარია** - 0841.1.1 ვეტერინარია; 0841.3.1 ვეტერინარია);
- 1.9. **09 / ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (0912 მედიცინა - 0912.2.2 ეპიდემიოლოგია);**
- 1.10. **10 / მომსახურებები (1014 სპორტი - 1014.1.1 სპორტი; 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება - 1015.2.1 კულტურული ტურიზმი).**

2. თუ ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგების მქონე 50 სტიპენდიანტი პრიორიტეტულ მიმართულებების მიხედვით, მაშინ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მოხდება, სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.

3. სტიპენდია არ გაიცემა აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ბოლო დამამთავრებელი სემესტრის შედეგების მიხედვით.

## **მუხლი 9. გამარჯვებულის გამოვლენა**

1. გამარჯვებულად სახელდება პირველი და მეორე საფეხურის ის სტუდენტ(ებ)ი, რომელსაც აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს უფრო მაღალი ქულა.

2. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტის საკონკურსო სემესტრის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს ერთნაირი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით:

2.1 მიღებული აქვს უფრო მეტი საკონკურსო ქულა;

2.2 თუ შედეგები კვლავ თანაბარია - ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

2.3 და თუ შედეგები ისევ ერთნაირია - უცხოური ენის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

3. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტის საკონკურსო სემესტრის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს ერთნაირი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების მიხედვით:

3.1 მიღებული აქვს უფრო მეტი საკონკურსო ქულა;

3.2 თუ შედეგები კვლავ თანაბარია - სპეციალობაში მიღებული უფრო მაღალი ქულის შესაბამისად;

3.3 და თუ შედეგები კვლავ ერთნაირია - იმ პროცედურით და იმავე თანმიმდევრობით, როგორც განსაზღვრულია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებთან მიმართებაში (ამავე მუხლის პუნქტი 1.).

4. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტის საკონკურსო სემესტრის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს ერთნაირი ქულა, სტიპენდია გაიცემა, იმ სტუდენტზე, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით:

4.1 მიღებული აქვს უფრო მეტი საკონკურსო ქულა;

4.2 თუ შედეგები კვლავ თანაბარია - ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

4.3 და თუ შედეგები ისევ ერთნაირია - უცხოური ენის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

## **მუხლი 10. შედეგების დამტკიცება.**

1. კონკურსის შედეგების თაობაზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ განყოფილების უფროსი და სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

2. აქტს ამტკიცებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კურატორი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სამსახურის უფროსი.

3. მერის მოადგილე (კურატორი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სამსახურის უფროსი, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას, აქტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წარუდგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს (შემდგომში - მერი).

4. მერი, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას, კონკურსში გამარჯვებულ პირებზე სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

5. კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიანტების სია, ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

## **მუხლი 11. სტიპენდიების გაცემის ვადები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წერილობითი მიმართვის და მერის ბრძანების საფუძველზე, გასცემს ფულად ჯილდოებს 2021-2022 სასწავლო წლის:

1. საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით - 2022 წლის 12 აპრილამდე;
2. საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით - 2022 წლის 12 ნოემბრამდე.

## **მუხლი 12. მონაცემთა ბაზა**

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო შედეგების მქონე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიანტების, ასევე, კონკურსის მონაწილე აპლიკანტების მონაცემები, შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმატებული სტუდენტების საერთო მონაცემთა ბაზაში, შემდგომში მათი შესაძლო დასაქმების თვალსაზრისით, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე, სახელმწიფო და კერძო სექტორის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით.